ხელშეკრულება N 29

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი 9 მარტი 2017 წ.

ერთის მხრივ **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ მიქანაძის** სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი **„ცირა ამაშუკელი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი: **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“**

მიმწოდებელი: **ფ.პ. „ცირა ამაშუკელი“**

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) - ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 ქვეპუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“- ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს - შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში წიგნების აკინძვის მომსახურების შესყიდვა, **კერძოდ:** სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ 2016 წლის დოკუმენტაციის წიგნად აკინძვა (ფურცლების დანომვრით).

2.2 ასაკინძი წიგნების რაოდენობა საორიენტაციოდ შეადგენს **220** (ორასოცი) ცალს. წიგნების რაოდენობა დაზუსტდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დროს, ფაქტიურად აკინძული წიგნების რაოდენობის მიხედვით.

2.3 კლასიფიკატორის კოდი: **CPV-79900000; 79971200.**

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

3.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ და დასრულდება არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა.

3.2 „მიმწოდებლის“ მიერ დოკუმენტების აკინძვა უნდა განხორციელდეს წიგნებად და მოხდეს შემდგომ მათი ჩასმა მუყაოს ყდაში.

3.2 დოკუმენტაციის აკინძვა უნდა მოხდეს ისეთი მასალით, რომ არ მოხდეს აკინძული წიგნების ადვილად დაშლა და ჩაკრული დოკუმენტაციის ამოვარდნა. მიმწოდებლის მიერ აკინძვის პროცესში გამოყენებული მასალები (ყდა, წებო, ძაფი) უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არ ნამყოფი.

3.4 თითოეულ წიგნში დოკუმენტაციის აკინძვა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ მიერ მოწოდებული მასალის თემატიკისა და პერიოდების მიხედვით, ხოლო წიგნში ფურცლების რაოდენობა დოკუმენტაციის შინაარსიდან და რაოდენობიდან გამომდინარე განისაზღვრება შემსყიდველთან შეთანხმებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **814** (რვაასთოთხეტი) ლარს და 00 თეთრს.

4.2 ერთი ერთეული წიგნის აკინძვის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება **3 (სამი)** ლარით და **70** თეთრით.

4.3 შემსყიდველის მიერ მოხდება საშემოსავლო გადასახადის დაკავება.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10** (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

5.4 შესყიდვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის 2017 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

მუხლი 7. ხელშეკრულების კონტროლის - ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება), რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

7.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისაგან.

7.4 „შემსყიდველის" მხრიდან კონტროლს - ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის" საქმის წარმოების სპეციალისტი - **მაია ჯანგირაშვილი.**

7.5 კონტროლი - ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების ხარისხისა და ვადების კონტროლს.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი ან/და სატელეფონო შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების შესრულება.

გ) შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

დ) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.

ე) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

მუხლი 9. მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი

9.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

მუხლი 10. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

10.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება თუ იგი აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) განახორციელოს „მომსახურება" ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად.

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების" შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯებით.

10.4. მიმწოდებლს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომასახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 მაისის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ პირად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, რომელთაგან ერთი პირი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი პირი რჩება „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“,
საიდ.კოდი: 204 493 262
იურიდიული მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი
მე-17 კილომეტრი
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა 200122900

ავთანდილ მიქანაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
ფ/პ „ცირა ამაშუკელი“
პირადი ნომერი: 01001054731
მის: ქ. თბილისი, ლიბანის ქ. კორ N3, ბინაN60
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE66BG 0000 0008 0709 5300

ცირა ამაშუკელი
ფიზიკური პირი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.რუსთავი 9 მარტი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის 2016 წლის დოკუმენტაციის წიგნებად აკინძვის **(CPV-79900000; 79971200)** მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავთანდილ მიქანაძე

დირექტორი

ცირა ამაშუკელი

მაია ჯანგირაშვილი

საქმის წარმოების სპეციალისტი

ნიკოლოზ დუჩიძე

შესყიდვების კოორდინატორი